ზომა ულტრა

1. ზოგადი ცნობები

1.1. საშუალება „ზომა ულტრა“ წარმოადგენს გამოყენებისთვის მზა ხსნარს გამჭვირვალე უფერო სითხის სახით დამახასიათებელი სუნით. მოქმედი ნივთიერებების სახით შეიცავს 42%-ს პროპანოლ-1-ს (N-პროპანოლი) , 33%-ს პროპანოლ-2 (იზოპროპანოლი), გამოხდილი წყალი 24,74%, ბენზალკონიუმის ქლორიდი 0.16%-2 (ალკილდიმეთილბენზილამონიუმის ქლორიდის - ამონიების ნაერთების ჯგუფი), პეგ-7 გლიცერილის კოკოატი 0,25%, ალანტოინი 0,0010%.

1.2. პრეპარატი არ ახდენს დაჟანგვის და კოროზიულ გავლენას დასამუშავებელ მასალებზე, არ მოითხოვს ჩამორეცხვას, არ ტოვებს ნადებს და ლაქებს დამუშავებულ ობიექტებზე. „ზომა ულტრა“-ს მეშვეობით მუშავდება მხოლოდ ის მასალა, რომელიც არის მედეგი სპირტის მოქმედებაზე.

1.3.“ზომა ულტრა”-ს გააჩნია ბაქტერიციდული (მათ შორის ტუბერკულოზი), ფუნგიზიდური და ვირულიციდური (მათ შორის ენტეროვირუსები) აქტივობა.

1.4. „ზომა ულტრა“ განკუთვნილია:

1.4.1. **ყველა ტიპის ჯანდაცვის ორგანიზაციაში გამოყენებისთვის:**

1.4.1.1. ყველა ტიპის ჯანდაცვის ორგაზაციაში სამედიცინო პერსონალის ხელების დეზინფექციისთვის;

1.4.1.2. სამედიცინო დანიშნულების ლითონის, რეზინის, პლასტმასის, მინის, პოლიმერული მასალის (ენდოსკოპების გარდა) და სხვა ყველა სახის სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში ექსპრეს-დეზინფექციისთვის.

1.4.1.3. დაწესებულების ტერიტორიებში ზედაპირების, მყარი ავეჯის, სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობების, ავადმყოფების მოვლის საგნების, ფეხსაცმელის სოკოვანი ეთიოლოგიის ინფექციის პროფილაქტიკის, სანიტარული ტრანსპორტის, საინფექციო კერებში ექსპრეს-დეზინფექციისთვის;

1.4.2. **კვების მრეწველობის საწარმოებში, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებებში, განათლების, კულტურის, სპორტის, სოციალური უზრუნველყოფის და საბავშვო დაწესებულებებში და საყოფაცხოვრების პირობებში;**

1.4.2.1. კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებში (სილამაზის სალონებში, SPA-ცენტრებში, ფრჩხილის ლაქის, პედიკურის, მასაჟის კაბინეტებში, კოსმეტილოგიურ კლინიკებში, სოლარიუმებში, საუნებში) პერსონალის ხელების დეზინფექციისთვის კლიენტთან მუშაობის დაწყების წინ და მის შემდეგ.

1.4.2.2. კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოებში (საცხობებში, საკონდიტრო ფაბრიკებში, რძის ქარხნებში, ხორცის გადამუშავების, ლუდსახარშ, უალკოჰოლო სასმელების, მინერალური წყლის და ა.შ. ქარხნებში), პარფიუმერულ-კოსმეტიკური, ფარმაცევტულ, ქიმიურ, მიკრობიოლოგიურ მრეწველობაში პერსონალის ხელების დეზინფექციისთვის;

1.4.2.3. საზოგადოებრივი კვების და ვაჭრობის (სასადილოების, რესტორნების, სწრაფი კვების რესტორნების, მაღაზიების, სუპერმარკეტებში, ბაზრებში და ა.შ.) დაწესებულებებში პერსონალის და მომხმარებლების ხელების დეზინფექციისთვის;

1.4.2.4. სკოლანდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებებში, აკრედიტაციის სხვადასხვა დონის სასწავლო დაწესებულებებში პერსონალის ხელების დეზინფექციისთვის;

1.4.2.5. ვეტერინარულ სამსახურში, აფთიაქში და სააფთიაქო დაწესებულებებში, სანიტარულ-საკურორტო, მრავალფეროვანი პროფილის, სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებებში, სხვა ორგანიზაციებში, რომელთან საქმიანობა მოითხოვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების და წესების დაცვას;

1.4.2.6. სახლის პირობებში, ავადმყოფის მოვლის დროს ხელების და ნივთების დეზინფექციისთვის

1.4.2.7. სილამაზის სალონებში ფრჩხილის მოვლის, კოსმეტოლოგიური ინსტრუმენტების და ხელსაწყოების დეზინფექციისთვის მომსახურების სფეროს საწარმოებზე;

1.4.2.8. დაწესებულების ტერიტორიების უჯდაციების, მყარი, წყალგამძლე ავეჯის, სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობების, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებში (სასტუმროები, საერთო საცხოვრებლები, სილამაზის სალონები, სამრეცხაოები, საზოგადოებრივი კვების დაწესებულებები, საზოგადოებრივი საპირფარეშოები, განათლების, კულტურის, სპორტის (აუზები, სპორტული და კულტურულ-გამაჯანსარებელი

კომპლექსები, კინოთეატრები, ოფისები და ა.შ.) დაწესებულებებში, სოლარიუმებში, სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებებში, საბავშვო დაწესებულებებში ექსპრეს-დეზინფექციისთვის, სატრანსპორტო საშუალებების ექსპრეს-დეზინფექციისთვის.

1.5. საშუალების ვარგისიანობის ვადა მწარმოებლის გაუხსნელ შეფუთვაში შენახვის პირობებში 0-დან +30^{0}C ტემპერატურაზე შეადგენს 3 წელს.

2. „ზომა ულტრა“-ს გამოყენება:

2.1. საშუალება არ საჭიროებს გაზავებას, ხსნარი გამოყენებისთვის მზად არის.

2.2. ხელების დეზინფექცია:

2.2.1 ხელების **ჰიგიენური დეზინფექცია:** 3 მლ „ზომა ულტრა“ დაიტანეთ ხელის მტევნებზე, საგულდაგულოდ გადაინაწილეთ ხელის გულებზე, თითებს შორის ზედაპირებზე, სრულ გაშრობამდე 15-45 წამის განმავლობაში (იხ.ცხრილი №1)

2.2.2. **ხელების ქირურგიული დეზინფექცია**: 5-10 მლ „ზომა ულტრა“ დაიტანეთ ხელის მტევნებზე, საგულდაგულოდ გადაინაწილეთ ხელის გულებზე, თითებს შორის ზედაპირებზე, 60 წამის განმავლობაში, სრულ გაშრობამდე. (იხ.ცხრილი №1)

2.4. ობიექტების დეზინფექციას ატარებენ წასმის, მორწყვის, ჩალბობის, ჩაძირვის ხერხებით (იხ.ცხრილი №2 და №3)

2.4.1. ჩაძირვის მეთოდით დეზინფექციისას - კონტეინერს, რაშიც მოთავსებულია სადეზინფექციო ნივთები, მჭიდროთ აფარებენ თავსახურს, სადეზინფექციო დაყოვნების დროის განმავლობაში.

2.4.2. სამედიცინო დანიშნულების ნაკეთობების ბიოლოგიური სუბსტრატებით ხილული დაბინძურების დროს საჭიროა წინასწარ გარეცხოთ ნაკეთობა გამდინარე წყლით ან სარეცხი საშუალების სამუშაო ხსნარით (რადგან სპირტის შემცველ საშუალებებს გააჩნიათ ორგანული წარმოშობის დაბინძურების დაფიქსირების თვისება) სპეციალურად გამოყოფილ ჭურჭელში უსაფრთხოების ზომების დაცვით.

2.4.3. ზედაპირის, ინვენტარის დეზინფექციის ჩატარების დროს, ერთდროულად დასამუშავებელი ზედაპირის მაქსიმალური ფართი უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 2 კვმ-ს. (იხ.ცხრილი №1)

2.4.6. ფართების 2კვმ-ზე მეტი, დამუშავების შემდეგ ოთახი უნდა განიავდეს 15 წუთის განმავლობაში.

2.5. სამედიცინო დანიშნულების, სილამაზის სალონი, მანიკურის, კოსმეტოლოგიური ინსტრუმენტების და ხელსაწყოების დეზინფექციისთვის გამოსაყენებელი მზა კონცენტრატი შეიძლება გამოყენებულ იქნას მრავალჯერ 14 დღის განმავლობაში, ამასთან აუცილებელია ვიზუალურად თვალი ადევნოთ კონცენტრატის მდგომარეობას. ფერის შეცვლის, ამღვრევის, ნალექების წარმოქმნის დროს კონცენტრატი უნდა შეიცვალოს. ასევე გამოიყენება ხსნარის აქტივობის ექსპრეს-კონტროლის მეთოდი სიმკვრივის მიხედვით (მშრალი, სუფთა აერომეტრს ათავსებენ ხსნარიან კონტეინერში ისე, რომ თავისუფლად იცურაოს, სიმკვრივის მნიშვნელობა უნდა გამოითვალოს აერომეტრით.

2.6. სამედიცინო, სილამაზის სალონის, ლაქის, კოსმეტოლოგიური ინსტრუმენტი უნდა ჩაილბოს საშუალება „ზომა ულტრა“-ში იხ.ცხრილი №1 მითითებული დროის განმავლობაში.

2.7. ოთახებში ზედაპირებს (იატაკი, კედლები და ა.შ.) მყარი ავეჯის, დანადგარების, აპარატების, სამედიცინო მოწყობილობების ზედაპირებს, სანიტარული ტრანსპორტის ობიექტებს ამუშავებენ ხსნარით, რწყავენ ფლაკონიდან გასასხურებელის მეშვეობით ან მორწყვას ატარებენ სპეციალური მოწყობილობის მეშვეობით, თანაბარი, უხვი დანამვის მისაღწევად, ამასთან კონცენტრატის ნარჩენების, მოშორება შესაძლებელია სუფთა ხელსახოცით (ექსპოზიციური დაყოვნების შემდეგ).

საშუალების დახარჯვის ნორმა 50 მლ/მ2 მოწყობილობის („კვაზარი“-ს ტიპის საფრქვეველი)

2.8. სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობის (აბაზანა, ნიჟარა და ა.შ.) დამუშავება ხსნარით ხდება მორწყვის ხერხით ხსნარის გამოყენების ნორმა - 50 მლ/მ2.

დეზინფექციის რეჟიმი და მეთოდები

ცხრილი№1

ექსპრეს-დეზინფექციის რეჟიმები სამედიცინო დანიშნულების საგნებისთვის (ენდოსკოპების გარდა), სილამაზის სალონის, ლაქის ასევე კოსმეტოლოგიური ინსტრუმენტებისა და ხელსაწყოებისთვის

დეზინფექციის მეთოდები	საშუალების რაოდენობა (მლ)	ექსპოზიცია (წამ.)
ხელების ჰიგიენური დეზინფექცია	3	15-45
ხელების ქირურგიული დეზინფექცია	5-10	60
პაციენტის კანის დეზინფექცია	კანი სრულად უნდა დაინამოს ხსნარით	15
ფეხების სანიტარული დამუშავება სოკოვანი ინფექციების პროფილაქტიკისთვის	3	15
ზედაპირების, სამედიცინო დანიშნულების საგნების, ინსტრუმენტების სწრაფი დეზინფექცია	25 ერთ კვადრატულ მეტრზე	15

ცხრილი№2

საშუალების კონცენტრაცია %	დეზინფექციის დროს, წუთ.	დეზინფექციის ხერხი	გამოყენების ჩვენება
100	1	ჩალბობა	ბაქტერიული ვირუსული ეთიოლოგიის ინფექციები(ტუბერკულოზი), კანდიდოზები, დერმატოფიტიები.

„ზომა ულტრა“ ობიექტების ექსპრეს-დეზინფექციის რეჟიმები ბაქტერიული ვირუსული ეთიოლოგიის ინფექციები (ტუბერკულოზი), კანდიდოზები, დერმატოფიტიების დროს

ცხრილი№3

დეზინფექციის ობიექტი	პრეპარატის მიხედვით ხსნარის კონცენტრაცია, %	დეზინფექციის დრო, წუთ.	დეზინფექციის ხერხი
სამედიცინო აპარატები, მოწყობილობები, დანადგარები	100	1	გაწმენდა ან მორწყვა
ზედაპირები ფართებში (იატაკი, კედლები, კარები, ფანჯრის რაფები), ტრანსპორტზე (მათ შორის სანიტარული ტრანსპორტი, სასწარო დახმარების ეტლები) და მის მოძრავ შემადგენლობაში, დგამის საგნები (ავეჯი და ა.შ.)			გაწმენდა ან მორწყვა
ავადმყოფის მოვლის საგნები (რეზინის სათბურა, ყინულიანი გუშტები, მუშამბა და ა.შ.)			ჩაძირვა, გაწმენდა ან მორწყვა
სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობა (აბაზანა, ნიჟარა, უნიტაზი)			გაწმენდა ან მორწყვა
ფეხსაცმელი			გაწმენდა ან მორწყვა

3.1. მოერიდეთ საშუალების თვალებში მოხვედრას.

3.2. თვალების დაცვისთვის რეკომენდირებულია დამცავი სათვალე, ხელის კანის დაცვისთვის - დამცავი ტანსაცმელი, ხელთათმანი, მორწყვის (გაფრქვევის) დროს რეკომენდირებულია ფილტრირებული აეროზოლსაწინააღმდეგო ელემენტებისთვის რესპირატორების გამოყენება სუნთქვის ორგანოების დაცვისთვის.

3.3. „ზომა ულტრა" გამოიყენება ზედაპირების მორწყვის მეთოდით რეკომენდირებულია, უცხო პირების არ არსებობის დროს. ექსპოზიციის დროის შემდეგ ჩაატარეთ ორპირა განიავება სპირტის სუნის გასაქრობად.

3.4. ადვილად აალებადია! არ დაუშვათ ღია ცეცხლთან კონტაქტს, არ დატოვოთ ჩართული ელექტრომოწყობილობები. არ მოწიოთ.

3.5. ვარგისიანობის აღნიშნული ვადის გასვლის დროს პრეპარატის გამოყენება აკრძალულია.

3.6. არ ჩარეცხოთ გაუზავებელი საშუალება კანალიზაციაში და თევზის მეურნეობის წყალსატევებში.

4. პირველი დახმარების ზომები შემთხვევითი მოწამვლის დროს

4.1. საშუალების შემთხვევით თვალებში მოხვედრისას ჩამობანეთ დიდი რაოდენობით გამდინარე წყლით და ჩააწვეთეთ სულფაცილ ნატრიუმის 30% ხსნარი.

4.2. საშუალების კუჭში მოხვედრისას - მიიღეთ დიდი რაოდენობით სითხე წყალში ადსორბენტის (გასრესილი აქტივირებული ნახშირის 10-15 აბი 1 ჭიქა წყალზე).

4.3. საშუალების დიდი ხნის განმავლობაში ჩასუნთქვისას - გამოიყვანეთ დაზარალებული სუფთა ჰაერზე, საჭიროების შემთხვევაში მიმართეთ ექიმს.

მწვავე მოწამვლის დროს (საინჰალაციო, კუჭშიგნით მოხვედრისას) შხამსაწინააღმდეგოს სახით შეიძლება იყოს რეკომენდირებული კოფეინი (10% ხსნარი 3 სმ³-მდე ერთჯერადათ კანქვეშ) და კორაზოლი (10% ხსნარი 2 სმ³-მდე დრეში რამდენჯერ კანქვეშ და კუნთში).

5. შენახვა და ტრანსპორტირება

5.1. პრეპარატი ფასოვდება (ისხმევა) მზა ხსნარის სახით პოლიეთილენის ბოთლებში 20ლ, 5ლ, 1 ლ, 750მლ, 600 მლ, 500მლ, 250მლ ან 60 მლ ტევადობით.

5.2. საშუალებას შეფუთული სახით ინახავენ დახურულ მშრალ ვენტილირებულ სასაწყობო ფართებში ტენიანობისა და მზის სხივების ზემოქმედებიდან დაცულ ადგილზე გამათბობელი მოწყობილობებიდან და ღია ცეცხლიდან მოშორებით 0⁰-დან +30⁰C -მდე ტემპერატურაზე.

5.3. საშუალების ტრანსპორტირება ხდება მიწისზედა ტრანსპორტით, რომელიც უზრუნველყოფს პირდაპირი მზის სხივებისგან და ატმოსფერული ნალეკებისგან დაცვას ასეთი სახის ტრანსპორტებზე ტვირთების გადაზიდვის წესების შესაბამისად. საშუალების შემთხვევითი გადმოღვრის დროს ამ ადგილს დაყარეთ ქვიშა ან ნახერხი, მოკრიფეთ ჭურჭელში შემდგომი უტილიზაციისთვის.

CleanTech

„ზომა ულტრა“-ს ხარისხის მაჩვენებლები

ცხრილი №4

ფიზიკური და ქიმიური მონაცემები	მოცემული სიდიდე	GAS №
გარე სახე	გამჭირვალე უფერო სითხე	
სუნი	დამახასიათებელი, სპეციფიური	
სიმკვრივე (გ/სმ³) 20°C დროს	0,856±0.05	
ნატიური ხსნარის წყალბადის მაჩვენებელი (pH), ერთ.	5,5±1,5	
მასობრივი წილი პროლანოლ-1, %	42 ±1,5	71-23-8
მასობრივი წილი პროლანოლ-2, %	33 ±1,5	67-63-0
გამოხდილი წყალი %	24,74 ±1,5	7732-18-5
ბენზალკონიუმის ქლორიდი მასობრივი წილი,%	არანაკლებ 0,16	63449-41-2
პეგ-7 გლიცერილის კოკოატი %	არანაკლებ 0,25	68201-46-7
ალანტოინი	არანაკლებ 0,001	97-59-6

Zoma Ultra

შპს კლინტექ; ს/კ 204 442 451
მისამართი: ქ.თბილისი, ფონიჭალა,
რუსთავის გზატკეცილი #68ა
ტელ: +995 (595) 608 778
www.zoma.ge; info@zoma.ge